



1991

№ 12

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამომცემი

თ ბ ი ლ ი ს ი



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 12 (617)

ლექსები

1991 წელი

2

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანყოფილება კირილე

- 836. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.
- 837. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.
- 838. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში წევრთა რაოდენობის შესახებ.
- 839. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სასამართლოს მოამართლეთა დანიშვნის შესახებ.
- 840. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ისტორიის და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის, დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.
- 841. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მსჯავრდებულ პირთა შეწყალების საკითხთა მომზადებისა და განხილვის ორგანიზაციის შესახებ.
- 842. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ა. ს. სულიაურის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორად დანიშვნის შესახებ.
- 843. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ლ. შ. იაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
- 844. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მ. შ. მანძელაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.
- 845. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. თ. ქორჯოლიანის ზუგდიდის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

- 846. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. გ. გზარიშვილის სპეციალური დანიშნულების სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშვნის შესახებ.
- 847. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ი. თ. ქობალიას ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.
- 848. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ჯ. კ. დავლიანიძის კასპის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.
- 849. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ე. ს. დათაშვილის ასპინძის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლებას შესახებ.
- 850. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება დ. ს. კუხალიშვილის ზუგდიდის სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
- 851. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. კ. ცაცუას თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
- 852. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის გამო.
- 853. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ო. შ. ჩუბინიძის გორის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
- 854. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ე. ა. გიუნაშვილის გორის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.
- 855. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მართვის ორგანოს შექმნის შესახებ.
- 856. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება გ. ზუვდაძის და ზუვდაძის რაიონის პრეფექტურების შექმნის შესახებ.
- 857. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. ო. ყორყოლიანის ქ. ზუგდიდის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.
- 858. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. ა. ასლანიშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
- 859. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ტ. ი. ცახელიშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

- 860. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ.
- 861. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე სავანებო წესების გამოცხადების შესახებ.
- 862. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გ. ხეთასას სადეპუტატო უფლებამოსილებას ვადამდ შეწყვეტის შესახებ.



863. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ვ. ჯაშის სადებუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
864. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობის შესახებ.
865. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებას თაობაზე
866. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შესახებ.
867. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის განმარტების თაობაზე.
868. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 მაისის დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესში“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ.
869. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მომენთ მიღების თაობაზე.
870. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებას შეტანის თაობაზე.
871. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებ.
872. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებ.
873. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოდეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ.
874. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკის მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებ.
875. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხმის დამთვლელი კომისიის ახალი შემადგენლობას შესახებ.
876. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება პატიმრების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ინფორმაციის თაობაზე.
877. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე.

878. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
879. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
880. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება დ. ს. ჩიტლოვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.
881. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ჯ. გ. ბაბილაშვილის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრობიდან და ამავე სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
882. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
883. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების მარნეულის № 46 შულავერის საარჩევნო ოლქში არჩევნების გაუქმების შესახებ.
884. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების თაობაზე.
885. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.
886. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 26 ნოემბრის დადგენილების შესახებ.

ბანყოფილება მისაში

887. მიმართვა გაეროს.
888. თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი ეროვნულ კრებას (პარლამენტს).
889. უკრაინის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ლ. კრაჩუკს, უკრაინულ ხალხს.
890. უკრაინის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა.

განყოფილება პირველი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

836

შიდა ქართლში ოსი სეპარატისტები, რომლებსაც უზურპირებული აქვთ ხელისუფლება, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის მხარდაჭერით კვლავ განაგრძობენ ანტიკონსტიტუციურ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, რითაც აშკარად ცდილობენ ხელყონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, შეზღუდონ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებები.

მიმდინარე წლის 26 ნოემბერს ა. ჩოჩიევის ხელმძღვანელობით ჩატარდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის, ხელისუფლების ორგანიზების სტრუქტურის, კონსტიტუციის მიღების, რუსეთთან შეერთების ადრე მიღებული გადაწყვეტილების დადასტურების, საგანგებო მდგომარეობის შემოღების, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების, გვარდიის შექმნისა და სხვა საკითხები. სესიამ ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩია ზნაურ გასიევი და მასვე დააკისრა თავმჯდომარის მოვალეობა.

ნიშანდობლივია, რომ თვით ამ ე. წ. სესიამ აღიარა, რომ 1991 წლის 4 სექტემბერს გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც მიიღო უკანონო ორგანომ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ყველა ღონის სახალხო დემუტატა სესიამ“, ამ რეგიონში შეიქმნა კონსტიტუციური ვაკუუმი. მაგრამ მიუხედავად ამ აღიარებისა, ოსი სეპარატისტები შიდა ქართლში „კონსტიტუციური ვაკუუმის“ შექმნებას კვლავ უკანონო, ანტიკონსტიტუციური მოქმედებით ცდილობენ, რომლის დასტურია სწორედ 26 ნოემბერს ჩატარებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს სესია და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები.

„საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების შიდა ქართლის ტერიტორიაზე ყოფნას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და ამ რეგიონში დესტაბილიზაციის, საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული მტრული საქმიანობის ერთერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს.

საქართველოს
პრეზიდენტი
მ. ბ. გ. მ. მ. მ.
გ. ბ. ბ. ბ. ბ.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ქვეყნის უშიშროების და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ვადაგენ.

1. ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ორგანოს ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებები.

2. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები იმ პირობა მიმართ, რომლებმაც შიდა ქართლში შექმნეს ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვა, საქართველოს რესპუბლიკისაგან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა.

3. დაისვას სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე საკითხი შიდა ქართლში ფაქტობრივად აღმოცენებული სსრ კავშირის წინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი წარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

337 თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ ვახტანგის ძე ნინუა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 დეკემბერი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

მე-10 საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში წევრთა რაოდენობის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 29 იანვრის კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად ამ კანონით დადგენილი ნორმების ფარგლებში საკრებულოებში ასარჩევი დეპუტატების რაოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

კანონის პრაქტიკულად გამოყენებამ ცხადყო, რომ რიგ შემთხვევებში რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (რაიონის) საკრებულოს მდივნებად არჩეულნი არიან ამ ქალაქის რაიონის (რაიონის, ქალაქის, თემის, დაბის, სოფლის) ადგილობრივი საკრებულოს მდივნები, რამაც შესაბამისად გამოიწვია ამ პირთა ნაცვლად ადგილობრივ საკრებულოებში ახალი მდივნების არჩევა, რომლებიც ავტომატურად ხდებიან შესაბამისი საკრებულოს წევრები. ყოველივე ეს იწვევს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საკრებულოებში დეპუტატთა დადგენილი რაოდენობის გაზრდას.

კანონის გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი საკრებულოდან (რომლის მდივანიც არჩეულია საკრებულოს მდივნად) შესაბამისი საკრებულოში ასარჩევი დეპუტატების დადგენილი რაოდენობა გაიზარდოს ერთი ერთეულით; ასევე ერთი ერთეულით გაიზარდოს საკრებულოს წევრთა დადგენილი რაოდენობაც.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 6 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

839 საქართველოს რესპუბლიკის ზოგირითი რაიონისა და ქალაქის სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:
დაინიშნონ:

ახალგორის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ქუყუნა ისაყის ასული ნიაურბი.

ახალქალაქის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ჯუმბერ ივანეს ძე ბუღაძე.

ლენტეხის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ოლია სოგრატის ასული უშვანი.

მარნეულის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად — ზურაბ ოთარის ძე წურწუშია, დავით ზაურის ძე კალანდიაძე, ყადიმა ალაბეგის ძე შაცვლიშვილი.

ქალაქ ფოთის სასამართლოს მოსამართლედ — მზევიანარ შალვას ასული გაბუნია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნენო ბურხუაძე

თბილისი, 1991 წლის 6 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ი ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

840 ისტორიის და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონოვის, დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა შესახებ

ისტორიისა და კულტურის ძეგლები საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა, ერის საგანძურია. ისინი ასახავენ თაობათა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, ხალხის საუკუნოვან ისტორიას, მის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მოწმობენ ქართველი ერის უდიდეს წვლილზე მსოფლიო ცივილიზაციაში. საზოგადოების თითოეული წევრის პატრიოტული მოვალეობაა გაუფრთხილდეს კულტურულ მემკვიდრეობას, აქტიურად შეუწყოს ხელი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობასა და დაცვას.

სამწუხაროდ რესპუბლიკაში შეინიშნება ვანდალიზმის, მატერიალურ ფასეულობათა და კულტურის ძეგლთა, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ნამუ-

შეგრების თვითნებური გამოყენებისა და დაზიანების ფაქტები. ეს ფრიად ნეგატიური და საშიში სოციალური სენი თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად იქცა. ადგილი აქვს აგრეთვე კულტურულ ფასეულობათა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უკანონოდ გატანის ცდებს. არცთუ იშვიათია ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობათა სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების, შებიღწვის, კედლის მხატვრობის წაშლა-დაზიანების შემთხვევები. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა იმ რეგიონებშია, სადაც მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა შექმნილი. მრავალი უნიკალური ძეგლი სასწრაფო რესტავრაციას საჭიროება. ადგილობრივ ორგანოებს უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული ისტორიის ძეგლები, რის შედეგადაც ზოგერთი მათგანი წლების განმავლობაში ნადგურდებოდა.

ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ძეგლთა დაცვია, წარსულის დასაუღებელი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით ვადაგინ:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შექმნილი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს დაევალოს ძეგლებისა და მონუმენტურ-მხატვრული კომპოზიციების დაცვის, დაზიანებული ძეგლების შეცვლა-შეკეთების შესახებ წინადადებების განხილვა; იმ ძეგლთა სიებია დამტკიცება, რომლებიც სახელმწიფოს დაცვას ექვემდებარება; საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული ძეგლების მოვლა-პატრონობის თაობაზე მინისტრთა კაბინეტის წინაშე საკითხის აღძვრა; ძეგლთა კატეგორიების განსაზღვრა.

2. ისტორიისა და კულტურის უძრავი ძეგლების აღება, გადაადგილება და გადაკეთება დაშვებულ იქნეს მხოლოდ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საკოორდინაციო საბჭოს დასკვნის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საგანგებო ნებართვით.

3. აიკრძალოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ თვითნებური გატანა. საერთაშორისო კულტურული გაცვლის მიზნით ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დროებითი გატანა დაიშვას მინისტრთა კაბინეტთან არსებული ძეგლთა დაცვის საკოორდინაციო საბჭოს მიერ, ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

4. ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის სიიდან ობიექტების ამორიცხვა მოხდეს მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის ძეგლთა დაცვის საკოორდინაციო საბჭოს ნებართვით.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო საწარმოთა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის უშუალო დაქვემდებარებაში გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს სტრუქტურის მიღება რესტავრატორის სპეციალობაზე, მიიღოს ზომები აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

7. საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ძეგლების ფოტოალბომების, გამოკვლევების, გამამკვლევების, ბეჭდვების, ღია ბარათებისა და ტურისტულ-საექსკურსიო დანიშნულების ლიტერატურის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა.

8. პრეფექტურებმა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა ძეგლების დაცვაზე. ამ მიზნით:

ა) ხელი შეუწყონ ძეგლთა დაცვის ორგანოებს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გამოყენების, გამოვლენის, აღრიცხვისა და რესტავრაციის ღონისძიებათა განხორციელებაში;

ბ) არ დაუშვან ძეგლთა დაცვის ზონებში სამეურნეო საქმიანობა ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესაბამისი ორგანოების ნებართვის გარეშე;

გ) უზრუნველყონ ძეგლებზე დაცვა იმ საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთა საკუთრებაში ან სარგებლობაშია ისტორიისა და კულტურის ძეგლები;

დ) განსაზღვრონ შენობებიდან, რომლებიც არქიტექტურის ძეგლებს წარმოადგენენ, იმ ორგანიზაციების გამოყენების ვადები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ძეგლთა და მათი ტერიტორიის ჯეროვან მოვლა-პატრონობასა და დაცვას;

ე) განიხილონ საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან ერთად კულტურის ძეგლების ტერიტორიებზე უნებართვოდ აშენებულ და ნიშნებულ შენობა-ნაგებობათა დატოვების საკითხი და მიიღონ ზომები დამრღვევთა სარჯზე ამ შენობა-ნაგებობათა აღებისა და კულტურის ძეგლების ტერიტორიის გარეთ გასატანად;

ვ) აღკვეთონ კულტურის ძეგლების მცველების საშტატო ერთეულების სხვა დანიშნულებით გამოყენება;

ზ) გააძლიერონ კონტროლი მუზეუმებში, სამხატვრო გალერეებში და საცაფხურებში არსებულ მხატვრულ, ისტორიულ ან სხვა კულტურულ ფასეულობათა დაცვა-შენახვაზე;

თ) გამოავლინონ და აღრიცხონ მხატვრული, ისტორიული ან სხვა კულტურული ფასეულობანი, საქართველოს შემთხვევაში სათანადო წესით გადაიტანონ ისინი საცაფხურსა და მუზეუმებში;

ი) ეროვნული საგანძურის დაცვა-კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობის კეთილშობილურ საქმეში აქტიურად ჩააბან ფართო საზოგადოებრიობა, სტრუქტურული და მოსწავლე ახლავაზრდობა, ხელი შეუწყონ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ამ თვალსაზრისით საქველმოქმედო საქმიანობის გაფართოებას;



კ) აქტიურად გამოიყენონ ისტორიისა და კულტურის ძეგლები პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდის მიზნით, საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოიტანონ კულტურის ძეგლთა ხელყოფის ყოველი შემთხვევა.

9. სამართალდამცავმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა:

ა) უზრუნველყონ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის, დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის განუხრელი დაცვა; მკაცრად მოკითხონ დარღვევებისათვის თანამდებობის იმ პირებს, რომელთა სამსახურებრივი მოვალეობაა ძეგლთა დაცვისა და გამოყენების წესების აღსრულება;

ბ) აღკვეთონ ცალკეულ პირთა მოქმედება, მიმართული კულტურის ძეგლების შეზღუდვა-განადგურებისაკენ, დააკისრონ სისხლის სამართლის ადმინისტრაციული და მატერიალური პასუხისმგებლობა პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესების შეუსრულებლობაში, მათი დაცვის ზონების რეჟიმის დარღვევაში, აგრეთვე ძეგლების დაცვის შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებში.

10. მინისტრთა კაბინეტის ძეგლთა დაცვის საკოორდინაციო საბჭომ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს მისი მუშაობის განმსაზღვრელი დებულების ჩამოყალიბება წინამდებარე ბრძანებულების საფუძველზე.

11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიეცეს რეკომენდაცია:

- ა) განაახლოს კანონმდებლობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაცვისა და გამოყენების შესახებ,
- ბ) მოამზადოს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „კულტურის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 9 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

841 მსჯავრდებულ პირთა შეწყალების საკითხთა მომზადებისა და განხილვის ორგანიზაციის შესახებ

მსჯავრდებულ პირთა შეწყალების საკითხთა მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121¹-ე მუხლის მე-20 პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

- 1. მსჯავრდებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობის თაობაზე მასალების მომზადება დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს.
- 2. მსჯავრდებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობათა განხილვისათვის შეიქმნას კომისია, რომლის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შევლენ;

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარეები და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში.

შეწყალების საკითხთა კომისიის მუშაობის ორგანიზება დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შეიქმნას და დამტკიცოს დებულება მსჯავრდებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობათა განხილვის წესის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 9 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

და დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

842 ა. ს. სულღიაშვილის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორად
დანიშნვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ანატორ სოლომონის ძე სულიაური გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურაშულაძე

თბილისი, 1991 წლის 10 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

843 ლ. შ. იაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ლევან შალვას ძე იაშვილი ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

844 მ. შ. მანძულაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს მიხეილ შალვას ძე მანძულაშვილი ყვარლის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

845 თ. ო. შორაშოლიანის ზუგდიდის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს თამაზ ომარის ძე შორაშოლიანი ზუგდიდის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

846 თ. ბ. გვირიშვილის სპეციალური დანიშნულების სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნვის შესახებ

დაინიშნოს თენგიზ გიორგის ძე გვირიშვილი პრეზიდენტის რწმუნებულად სპეციალური დანიშნულების სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 13 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

847 ი. თ. ქობალიას ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ინდიკო თედორეს ძე ქობალია ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

848 ჯ. კ. დავლიანიძის კასპის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ჯემალ კონსტანტინეს ძე დავლიანიძე კასპის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

849 მ. ს. ღათაუვილის ასპინძის რაიონის პრეზიდენტის თანამდებობაზე
ზიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ვახტანგ სიმონის ძე ღათაუვილი ასპინძის რაიონის პრე-
ზიდენტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

850 დ. ს. კუხალეიშვილის უზგდიდის სასამართლოს თავმჯდომეა-
რის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს.

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ საქარ-
თველოს რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად უზგდიდის სასამა-
რთლოს თავმჯდომარე დავით სიმონის ძე კუხალეიშვილი ვადამდე გათავისუ-
ფლდეს მოვალეობისაგან პირადი განცხადების საფუძველზე, ჯანმრთელობის
მდგომარეობის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო გურაშულიძე

თბილისი, 1991 წლის 17 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

851 მ. კ. ცაცუას თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი მარლენ კონდრატეს ძე ცაცუა ვადაძლე გათავისუფლდეს მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 17 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

852 სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის გამო

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მოწვევის თაობაზე ყოფილი სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის ინიციატივა არის იურიდიულად დაუსაბუთებელი და პოლიტიკური რეალობისადმი შეუსაბამო. ეს ინიციატივა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე ზემოქმედების და მათ საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობა.

2. „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ (1991 წლის 9 აპრილი) საფუძველზე შეუწყდეთ უფლებამოსილება საქართველოს სს რესპუბლიკიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატებს.

3. ეს დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 17 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

853 ო. შ. ჩუბინიძის გორის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ოპარ შალვას ძე ჩუბინიძე გორის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 17 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

854 ე. ა. გიუნაშვილის გორის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ედუარდ ალექსანდრეს ძე გიუნაშვილი გორის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 17 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

855 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მართვის ორგანოს უწყისის შესახებ

„სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ლიკვიდაციისა და გაუქმების შესახებ“ სსრკ სახელმწიფო საბჭოს 1991 წლის 14 ნოემბრის № ვს-13 დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო მატერიალური რეზერვების საქართველოს ტერიტორიული სამმართველოსა და მისი დაქვემდებარების ობიექტების მთელი ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გამგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით ვადგენ:

საქართველოს
პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების საქართველოს ტერიტორიულ სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ რეზერვების სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 18 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

856 მ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურების შემსრულებლის შესახებ

1. გაუქმდეს ზუგდიდის რაიონის პრეფექტურა და მის ბაზაზე შეიქმნას ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურები.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, კომიტეტებს და დეპარტამენტებს შეიტანონ სათანადო ცვლილებები დაქვემდებარებულ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სტრუქტურებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 19 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

857 თ. ი. შორშოლიანის მ. ზუგდიდის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს თამაზ იმარის ძე შორშოლიანი ქალაქ ზუგდიდის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 19 დეკემბერი.





საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

858 მ. ა. ასლანიშვილის დმანისის რაიონის პრეზიუმის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შე-
სახვა

გათავისუფლდეს ოთარ არსენის ძე ასლანიშვილი დმანისის რაიონის პრე-
ფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან პირადი განცხადების
საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 19 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

859 ბ. ი. ციხელაშვილის დმანისის რაიონის პრეზიუმის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნვის შესახებ

დანიშნოს ტარიელ ივანეს ძე ციხელაშვილი დმანისის რაიონის პრეფექ-
ტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 19 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს
შიერ მიღებული კანონები და დადგენილებები
(3 დეკემბერი)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

860 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული უკანონო
შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 20 დეკემბრის კანონით საქარ-
თველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა შინაგანი ჯა-
რები — ეროვნული გვარდია, რომლის მიზანი იყო დაეცვა სამშობლოს ინტე-
რესები, მისი ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა სიცოცხლე და პირადი

ღირსება, მათი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დანაშაულ-ბრძენი სელყოფისა და სხვა ანტისაზოგადობრივი მოქმედებისაგან.

ამა წლის 9 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარ-ღია დაქვემდებარა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გვაჩვენა, ეროვნული გვარ-ღიის ყოფილმა სარდალმა თ. კიტოვანმა შეენაბადას ტერიტორიაზე უკანონო შეკრება გვარდიის ნაწილები, რათა ისინი ჩაეთრია ანტისახელმწიფო პუტჩში.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 9 სექ-ტემბრის ბრძანებისა — გვარდიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს დაეტოვებინათ შეენაბადა და დაბრუნებოდნენ ქალაქის ყაზარმებს, გვარდიის შეიარაღებული ნაწილები თვითნებურად განლაგდნენ ჯვრ დედაქალაქის ცენტრში, ხოლო შემ-დეგ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე და აქტიურად მონაწილეობდნენ ანტისა-ხელმწიფობებზე მოქმედებებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა 1991 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამი-ანის უფლებათა დაცვის კომისიამ — 1991 წლის 13 ნოემბრის მიმართებით უკა-ნონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს წინადადება მისცეს ჩაებარებინათ იარაღი, რითაც მოეხსნებოდათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ეს პუმანური წინადადება მათ არ მიიღეს და გლავ ატრქელებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ აქციებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბ-ჭო ადგენს:

1. ეროვნული გვარდიის ის ნაწილები, რომლებიც დაბანაკებულნი არიან თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, დაემორჩილონ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

2. ეროვნული გვარდიის ის ნაწილები, რომლებიც არ დაემორჩილებიან სა-ქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, გამოცხადდნენ უკანონო შეიარაღე-ბულ დაჯგუფებებად.

3. წინადადება მიეცეს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მონაწი-ლეებს მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე საქართველოს რესპუბლიკის თავდა-ცვის სამინისტროს ნებაყოფლობით ჩააბარონ იარაღი, საბრძოლო მასალა, ტე-ქნიკა და დატოვონ დისლოკაციის თვითნებურად დაკავებული ადგილი.

4. უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების წევრები, რომლებიც შეასრუ-ლებენ ამ დადგენილების მესამე პუნქტის მოთხოვნებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებიან.

5. ამ დადგენილების მესამე პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მონაწილეების მიმართ გატარდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

861 მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე სავანეებზე უზენაესი საბჭოს
ცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება
მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე სავანეებზე წესების გამოცხადების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

862 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინადადებასა და
საბჭოს სადამკვეთთა უწყვეტად მუშაობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 ნოემბრის
სხდომაზე დებუტატმა გიორგი ზეთასმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიიყენა დარ-
ბაში მყოფთ, რითაც შეურაცხყო დებუტატთა კორპუსი. ასევე ცდილობდა
ზემოქმედება მოეხდინა პრეზიდენტსა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეზე,
რის გამოც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იძულებული შეიქნა შეეწყვიტა
სესიის მუშაობა.

ამ ფაქტის გამო იმსჯელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
სამანდატო და დებუტატის ეთიკის მუდმივმა კომისიამ და სესიის განსაზღვრე-
ლად შემოიტანა შემდეგი წინადადება:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს გიორგი ზეთასს სე-
სიათა სხდომების დროს დებუტატისათვის შეუფერებელი საქციელისა და სხდო-
მების არასაპატიო მიზეზით ვაცდენის გამო ვადამდე შეწყდეს სადებუტატო
უფლებამოსილება:

კომისიის მასალები ამ საკითხთან დაკავშირებით რეაგირებისათვის გადა-
ეცეს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო
და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის წინადადება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურაშულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

863 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ვ. ჯაფის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ პროპორციული სიით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ვიტალი ჯაფი სისტემატურად აცდენს უზენაესი საბჭოს სხდომებს (5, 6, 8, 9, 11 ოქტომბერი), „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს ვიტალს ვადა-
მდე შეუწყდეს სადეპუტატო უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურაშულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

864 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაო- დენობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობა გა-
ნისაზღვროს 201-ით.

II. შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდე-
გი ცვლილება:

105-ე მუხლში რიცხვი „250“ შეიცვალოს რიცხვით „201“.

III. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„უზენაეს საბჭოში აირჩევა 201 დეპუტატი ხუთი წლის ვადით. მათგან 120 აირჩევა ერთნადატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 81-პოლიტიკურად ზედაპარტიული მომადგენლობის საფუძველზე სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით“;

2. მე-16 მუხლში რიცხვი „125“ შეიცვალოს რიცხვით „120“;

3. 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„სიაში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს ოთხმოცდაერთზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ორას ერთს“.

4. მე-40 მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვები „ას ოცდახუთ კანდიდატზე“ შეიცვალოს სიტყვებით „ოთხმოცდაერთ კანდიდატზე“.

5. 55-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „ას ოცდახუთის“ შეიცვალოს სიტყვით „ოთხმოცდაერთის“.

IV. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

865 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 3 დეკემბრის კანონის სამომხდლოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 3 დეკემბრის კანონი სამომხდლოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ერთი კვირის ვადაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საარჩევნო ოლქების საზღვრებსა და ოლქების ჩამონათვალში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

866 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საზოგადოებრივი, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სსრ კავშირის შინაგან სამართალ სამინისტროს შინაგან ჯარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ.

2. ამ დადგენილებების პირველ პუნქტში აღნიშნული საჯარისო ფორმირებების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სრულ გაყვანამდე ისინი დაექვემდებარონ საქართველოს რესპუბლიკის საერთო იურისდიქციას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნამყოფი ბურჯულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

867 „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს) ირჩევს საკრებულო საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან. აქედან გამომდინარე, საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის (გამ-

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს) ირჩევს საკრებულო საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან. აქედან გამომდინარე, საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის (გამ-

გებლის) არჩევისათვის აუცილებელია, რომ იგი იყოს დეპუტატი და თუ რაიმე მიზეზით მას შეუწყდება სადეპუტატო უფლებამოსილება, იგი უნდა გათავისუფლდეს საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის (გამგებლის) თანამდებობიდანაც.

2. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებს გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან საკრებულოების გამგეობების ის თავმჯდომარეები (გამგებლები), რომელთაც ვადაშლე შეუწყდათ სადეპუტატო უფლებამოსილებანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

868 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 მაისის დადგენილებით აღმასკომისიულ „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესში“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 მაისის დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესში“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. № 5, მუხ. 388) შეტანა იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. პრეამბულის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების რაიონი და ქალაქი; ქალაქის რაიონი; რაიონული დაქვემდებარებას ქალაქი, დაბა, თემი, სოფელი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული — თემი აერთიანებს ერთ ან რამდენიმე დასახლებულ პუნქტს“;
2. მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ქალაქებს, ქალაქის რაიონებს ქმნის, აუქმებს, ამტკიცებს მათ საზღვრებს, ქალაქებს კატეგორიას უცვლის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი შესაბამისი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (რაიონის) საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობით.

3. მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რაიონების, თემების ადმინისტრაციულ ცენტრებს, თემებს, სოფლებს ქმნას და აუქმებს, მათ საზღვრებს ადგენს და ცვლის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი შეთანხმებით რაიონის საკრებულოსა და პარლამენტის ერთობლივი შუამდგომლობით“.

4. მეექვსე პუნქტის პირველი აბზაცის შემდეგ დამატოს შემდეგი აბზაცი:

„როგორც განთავსების, ქალაქს შეიძლება ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს სოფლის დასახლებანი“.

5. მეშვიდე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით“.

6. მეოთხთმეტე პუნქტის მერვე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის სახელის დარქმევისა და ვადარქმევის საკითხებზე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარდგინებას განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებსა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის გასაწყვეტილების შემდეგ“.

7. მეოთხრამეტე პუნქტში სიტყვა „მთავრობის“ შეიცვალოს სიტყვებით „მინისტრთა კაბინეტის“.

8. ოცდამეერთე პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულსა და დასახლებულ პუნქტს აღრიცხავენ და გაუქმებულებს სააორცხვო მონაცემებიდან ამოიღებენ რაიონებისა და ქალაქების პარტეპტურები და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიურო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურაშულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

869 „კოლიციის უზსახეზ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის
პირველი მოსმენით მიღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„კოლიციის უზსახეზ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ბურჭულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

870 „მოქალაქეთა კოლიტიკური გაერთიანებების უზსახეზ“ საქარ-
თველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შემანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების უზსახეზ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კანონის ძალაში შესვლიდან ხუთი თვის განმავლობაში ვერც ერთი პოლიტიკური გაერთიანება ვერ დაირქმევს ადრე დაფუძნებული გაერთიანების სახელწოდებას“.

2. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

871 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთი-
ერთობათა მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო
ურთიერთობათა მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობა:

თავმჯდომარე — მედეა მირიანის ასული თუშაიაშვილი.

წევრები:

ლია ნიკოლოზის ასული ანდლუაძე

ბიმურზა გერმანეს ძე აფრასიძე

მანანა ვალერიანის ასული ვაბაშვილი

თენიშურაზ იონას ძე ვვახტანგიძე

დავით გურამის ძე გოგაძე

ნიკოლოზ არჩილის ძე კილასონია

გაიოზ ბენოს ძე კორძაძე

გიორგი გივის ძე მარჯანიშვილი

მაია ვლადიმერის ასული მაჭავარიანი

ნოდარ გიორგის ძე ნონიაშვილი

ბიძინა კონსტანტინეს ძე ჩოლოყაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურაშულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

872 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფ-
ლებათა დაცვის მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობის
შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის
უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობა:

თავმჯდომარე — ზაურ დავითის ძე ქობალია.

წევრები:

შალვა გიორგის ძე აბზიანიძე
 ვიქტორ პეტრეს ძე დომუხოვსკი
 მაია პეტრეს ასული თომაძე
 ამირან სერგოს ძე კალაძე
 ზურაბ კონსტანტინეს ძე კანდელაკი
 ალექო შალვას ძე მელაძე
 ავთანდილ ფარნაოზის ძე რცხილაძე
 ზურაბ ტიტეს ძე სანიციძე
 დალი სარდიონის ასული ფიროსმანიშვილი
 ტარიელ ალექსანდრეს ძე ფუტყარაძე
 ჯემალ ბიქტორის ძე შონია
 ვალტერ გრიგოლის ძე შურღაია
 ვახტანგ შალვას ძე ცაგარეიშვილი
 ვახტანგ ამირანის ძე ჭითავა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

873 საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოდეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ. ჯუგუშვილის ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოდეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ მიღებულ ოქნეს ცნობად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

874 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკის მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკის მუდმივი კომისიის ახალი შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე — გივი ჩიტოს ძე თაქთაქიშვილი

კომისიის წევრები:

- შალვა გიორგის ძე აბუიანიძე
- ოური გიორგის ძე ბურკაძე
- ავთანდილ ალექსანდრეს ძე კვეციანიძე
- მერაბ შალვას ძე კიკნაძე
- არჩილ ოთარის ძე მაჭავარიანი
- მირიან შოთას ძე მირიანაშვილი
- ზვიად გიორგის ძე ნადარეიშვილი
- ნოდარ გიორგის ძე ნონიაშვილი
- არჩილ ვარლამის ძე ოდიშარია
- ავთანდილ დიმიტრის ძე პოპიაშვილი
- ნიკოლოზ ჯემის ძე სანებლიძე
- შალვა გოგლას ძე ცომაია
- ვლადიმერ ვასილის ძე ცოფურაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურაშულაძე.
თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

875 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხმის დამთვლე-ლი კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხმის დამთვლელი კომისიის ახალი შემადგენლობა:
თავმჯდომარე — ვახტანგ ამირანის ძე კითავა.

წევრები:

გივი აბესალომის ძე გოლეთიანი
მაია პეტრეს ასული თომაძე
ზაურ ყელოს ძე კოსტავა
გურამ შალვას ძე მაქაცარია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

876 პატიმრების უმსახეზ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ვ. აბაკელიას ინფორმაცია იმ პატიმრების შესახებ, რომელთა თაობაზე განმარტებას თხოულობდა სტუდენტთა ერთი ჯგუფი, მიღებულ იქნეს ცნობად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

877 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის უმსახეზ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის უმსახეზ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მე-5 მუხლის მე-7 აბზაცს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება: „პირი, რომელსაც ამ საფუძველზე შეუწყდა სადეპუტატო უფლებამოსილება, არ შეიძლება გახდეს ამ მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი“.

2. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვინაღ გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

878 საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ გარდაქმნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნამო ბურჭულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

879 „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 26 აგვისტოს კანონში შეტანულ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 24-ე მუხლს სიტყვის „ტრანსპორტის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „უშიშროების“.

2. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სამინისტროები, კომიტეტები და დეპარტამენტები

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, იუსტიციის, საგარეო საქმეთა, უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროები და კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარებიან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

880 დ. ს. ჩიტლოვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დიმიტრი სამსონის ძე ჩიტლოვი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

881 ჯ. ბ. ბაბილაშვილის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრობიდან და ამავდროულად სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

გათავისუფლდეს ჯამლეთ გიორგის ძე ბაბილაშვილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრისა და ამავდროულად სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საპარტემლოს რეკონსტრუქციის კანონი

882 „საპარტემლოს რეკონსტრუქციის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 1990 წლის 18 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „არჩევნებში არ მონაწილეობენ ის პირნი, რომლებიც მსახურობენ სხვა ქვეყნის სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში“.

2. მე-10 მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების ხელმძღვანელი პირნი“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობა“.

3. მე-15 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი“ შეიცვალოს სიტყვებით „ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირები“ უმრავლესობა“.

4. 28-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების ხელმძღვანელ პირებს“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის“, ხოლო მე-4 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების ხელმძღვანელ პირთა“ — სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის“.

5. 36-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პარტიის კანდიდატთა სია დამოწმებული უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელი პირის, ხოლო საარჩევნო ბლოკის სია — ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის ხელმოწერით. სიას უნდა ერთვოდეს ყოველი კანდიდატის თანხმობა მოცემული სიით კენჭისყრის შესახებ“.

6. 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „პარტიამ“ შემდეგ დაემატოს „ან საარჩევნო ბლოკმა“.

7. 39-ე მუხლის მე-4 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში პარტიათა ხელმძღვანელი პირების“ შეიცვალოს სიტყვებით „(საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის)“.

8. მე-40 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „(საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელ პირთა)“ შეიცვალოს სიტყვებით „(საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობით)“.



9. 44-ე მუხლის მე-4 ნაწილში სიტყვები „(საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელ პირთა)“ შეიცვალოს სიტყვებით „(საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის)“.

10. 61-ე მუხლის მე-6 ნაწილში სიტყვები „(ბლოკში გაერთიანებული პარტიების უმრავლესობის ხელმძღვანელმა პირებმა)“ შეიცვალოს სიტყვებით „(საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობამ)“.

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვინაძე ბამსახურობა.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

883 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეკლარაცია არჩევნების მარნეულის № 46 შულავერის საარჩევნო ოლქში არჩევნების გაუქმების შესახებ

მარნეულის რაიონში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს.

1. გაუქმდეს მარნეულის № 46 შულავერის საარჩევნო ოლქში 1991 წლის 22 დეკემბერს დანიშნული საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატის არჩევნები.
2. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

884 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების დროებით შეჩერების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 ნოემბრის დადგენილება გავრცელდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მხოლოდ იმ მუხლებზე, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური გაერთიანების იურიდიულ პირად რეგისტრაციის საკითხებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნამო ბურჭულაძე

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

885 შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

შიდა ქართლში ოსი სეპარატისტები, რომლებსაც უზურპირებული აქვთ ხელისუფლება, კვლავ განაგრძობენ ანტიკონსტიტუციურ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. ამის დასტურია, კერძოდ, მიმდინარე წლის 26 ნოემბერს ჩატარებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზეც განიხილეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს მოწყობის, რუსეთთან შეერთებისა და სხვა საკითხები. ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევა და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 მუხლს, 72-ე მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებს, 73-ე და 104-ე მუხლების მოთხოვნებს.

ოს სეპარატისტებს მხარს უმხარებენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები და საბჭოთა არმიის ნაწილები, რომელთა შიდა ქართლში ყოფნას საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებების თანახმად არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და ამ რეგიონში დესტაბილი-

ზაციის, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მტრული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის 24-ე პუნქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ორგანოს ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებები.

2. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ გაატაროს კანონით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც შიდა ქართლში შექმნეს ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვა, საქართველოს რესპუბლიკისაგან მასი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა.

3. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე შიდა ქართლში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

886 აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 26 ნოემბრის დადგენილების შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1991 წ. 26 ნოემბერს მიიღო დადგენილება „სამობილიზაციო რეზერვების მდგომარეობისა და აფხაზეთში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ“.

დადგენილებაში გათვალისწინებულია: სსრკ სამობილიზაციო რესურსების დაგროვებისა და განმტკიცების, აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ საბჭოთა არმიის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ნორმები, რაც გულისხმობს უცხო სახელმწიფოს სამხედრო ფორმირებების შექმნას და გამოიწვევს აფხაზეთის ასსრ-ში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებინ დესტაბილიზაციას, კონფრონტაციას.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს აქტი აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებას „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ფორმირება დავალებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას „კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ“, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, საქართველოს რესპუბლიკის კანონს „ალტერნატიული სამსახურის შესახებ“, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას, რომელშიც არ არის გათვალისწინებული სამხედრო სამსახური აფხაზეთში და რომელიც აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არ ანიჭებს ასეთი საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის 24-ე პუნქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 26 ნოემბრის დადგენილება „სამობილიზაციო რეზერვების მდგომარეობისა და აფხაზეთში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ“ ჩაითვალოს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკო ბურბულაძე

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

განყოფილება მისამე

887 მიმართვა ბაეროს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად შიდა ქართლის მთიან ნაწილში შექმნილ რთულ ვითარებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ამ ძირძველ მაწა-წყალზე მიმდინარე პროცესები ინსპირირებულია სსრ კავშირის ტერიტორიაზე ახალი ზესახელმწიფოს გაჩენის მოსურნე ძალების მიერ და წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას საქართველოს რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. ამდენად ე. წ. ოსურ-ქართულ კონფლიქტს აქვს პოლიტიკური საფუძველი. იგივეს ადასტურებს სსრკ, რსფსრ და

საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომისიის მიერ 1991 წლის 31 მაისს ხელმოწერილი ოქმი.

უკანასკნელ ხანებში ექსტრემისტული ძალების მოქმედების შედეგად მდგომარეობა ამ რეგიონში განსაკუთრებით დაიძაბა. დღეს უკვე სრულიად ცხადია იმპერიის მიზანი — მიაღწიოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, ფაქტობრივად რუსეთისათვის გადაცემას, რაც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო ნორმებს.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო ყოველთვის ისწრაფოდა და ამჟამადც ისწრაფის შექმნილი ვითარების მშვიდობიანი, პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრისაკენ ყველასთან ერთად, ვინც კეთილი ნებისა და სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ამ რეგიონში ძალადობის შეწყვეტას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ თხოვნით შექმნილი ვითარების შესასწავლად მოავლინოთ თქვენი წარმომადგენლები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

888 თურქეთის რესპუბლიკის უზენაეს ეროვნულ კრებას (პარლამენტს)

გამომდინარე იქიდან, რომ:

თურქეთი და საქართველო მეზობელი ქვეყნები არიან, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ტრადიციები აქვთ;

1991 წლის 9 აპრილს მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეულმა პარლამენტმა გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა;

ორივე ქვეყანა იზიარებს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს;

ეკონომიკური, კულტურული, ტურისტული კავშირები თურქეთსა და საქართველოს შორის სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს;

ორმხრივი და რეგიონალური ინტერესებისათვის აუცილებელია თურქეთსა და საქართველოს შორის მუდმივი თანამშრომლობა პოლიტიკური კონსულტაციების, ეკონომიკის, კულტურის, ინფორმაციის ურთიერთგაცვლითა და პო-

მანიტარული ურთიერთობის სფეროში ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული კავშირების გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის;

საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს ყველა თავის მეზობელ სახელმწიფოსთან, რომელთაც საქართველოს მიმართ არა აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები;

საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურე უკვე ცნეს რუმინეთმა, მოლდოვამ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, ამასთან, საქართველოს ცნობის საკითხი განხილვის პროცესშია როგორც საქართველოს ცალკეულ მეზობელ ქვეყნებში, ასევე დასავლეთის რიგ სახელმწიფოებში, —

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ წინადადებით ცნოთ საქართველოს რესპუბლიკა და დაამყაროთ ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობა, რასაც უნდა მოჰყვეს ანკარასა და თბილისში საელჩოების გახსნა.

ვფიქრობთ, თქვენც იზიარებთ ჩვენს რწმენას, რომ საქართველოს დიპლომატიური აღიარება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მრავალმხრივი მეგობრული კავშირების განმტკიცებას და რეგიონალური მშვიდობის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორი გახდება.

მიიღეთ რწმუნება თქვენდამი ღრმა პატივისცემისა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

889 უკრაინის რესპუბლიკის პრეზიდენტს გატონ ლ. კარაჩუპას, უკრაინელ ხალხს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გილოცავთ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე.

გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ უკრაინელი ხალხი ააშენებს ძლიერ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.



890 უკრაინის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

გხელმძღვანელობთ რა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით, გამომდინარე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა ნორმებიდან და საერთაშორისო ერთობის აღმშენებლობის ხასიათიდან.

და, უკრაინელი ხალხის, უკრაინის პარლამენტის თავისუფალი ნების გამოხატულების გათვალისწინებით, რომელმაც გამოაცხადა უკრაინის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა,

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

გამოხატავს რა ქართველი ხალხის, მისი პარლამენტისა და მთავრობის ნებას, აცხადებს მსოფლიო ერთობის ყველა სახელმწიფოს, ხალხების, პარლამენტებისა და მთავრობების წინაშე, რომ

საქართველოს რესპუბლიკა აღიარებს De Iure და De Facto დამოუკიდებელი უკრაინის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, სახელმწიფო დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სრულ სამართალსუბიექტობას.

საქართველოს რესპუბლიკა გამოხატავს მზადყოფნას, რათა დაამყაროს დამოუკიდებელ უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობები საელჩოების დონეზე, განავითაროს ორმხრივი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობები სრული მოცულობით და ყველა დონეზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში.

თბილისი, 1991 წლის 12 დეკემბერი.

საპარტველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა

3 დეკემბერს მუშაობა განაახლა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის 29 ნომბერს გადადებულმა მორიგმა სხდომამ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის ნაცვლად, რომელიც ავადმყოფობის გამო სესიას არ ესწრებოდა, სხდომას უძღვებოდა მისი მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები.

სხდომის დღის წესრიგის განხილვა დაიწყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების საკითხით. უზენაესი საბჭოს მუდმივი იურიდიული კომისიის თავმჯდომარის კონსტანტინე ფირცხალავას წარდგენით მიიღეს დადგენილება.

მეორე საკითხი იყო მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადება, რაზეც ილაპარაკა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან თქვა, რომ ამ რაიონში შეიქმნა უაღრესად რთული კრიმინოგენული ვითარება, რაც ეთნოკონფლიქტის წარმოქმნის საფრთხეს ქმნის: აღნიშნა, რომ ეს არის ოპოზიციის დესტრუქციული მოქმედების შედეგი, რომელმაც მარცხი იგემა თბილისში და ახლა თავისი საქმიანობა რაიონებში გაააქტიურა. უზენაესმა საბჭომ უამტყიცა პრეზიდენტის ბრძანებულება მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.

მუდმივი სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის მოხსენების საფუძველზე უზენაესმა საბჭომ ვადაძე შეუწყვიტა დეპუტატის უფლებამოსილებანი ვიტალი ჯაშს სესიის სხდომების გაცდენის გამო და გიორგი ხავთასს — არაეთიკური ქცევისა და სესიის სხდომების გაცდენის მიზეზით.

შემდეგ დეპუტატებმა განიხილეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობის საკითხი. მიიღეს კანონი, რომლის თანახმად პარლამენტის დეპუტატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 201. მიღებულია აგრეთვე დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა პარლამენტს წარუდგინა დადგენილების პროექტი, რომელიც ეხება საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებს, სსრ კავშირის შინაგან ჯარებს. მიღებული გადაწყვეტილებით უზენაესმა საბჭომ დაავალა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან საქართველოს ტერიტორიიდან ამ საჯარისო ფორმირებების გაყვანის შესახებ. სრულ გაყვანამდე ისინი ემორჩილებიან რესპუბლიკის საერთო იურისდიქციას.

პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ. მიღებულია აგრეთვე დადგენილებანი — „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციისა და მუშაობის ორგანიზაციის საერთო საწყისების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის განმარტების შესახებ, უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 მაისის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების შესახებ, აგრეთვე კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების შესახებ, აგრეთვე კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების შესახებ“.

პუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის“ კანონში დამატებათა შეტანის შესახებ.

პარლამენტარებმა აირჩიეს უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ეკონომიკის მუდმივი კომისიების, აგრეთვე ზმის დამთვლელი კომისიის განახლებული შემადგენლობა.

დებუტატებმა მოისმინეს და ცნობად მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბესარიონ გუგუშვილის ინფორმაცია რადიო-ტელევიზიის სახელმწიფო სისტემის რეორგანიზაციის შესახებ. მან, კერძოდ, წინადადება წამოაყენა სახელმწიფო ტელევიზიასთან ერთად შეიქმნას შერეული და კერძო. დამოუკიდებელი ტელეკომპანიები, აღნიშნა აგრეთვე, რომ საქართველოში უკვე მოქმედებს ყოფილ სსრ კავშირში ერთადერთი დამოუკიდებელი კომერციული ტელეარხი „მერმისი“.

მოისმინეს და ცნობად მიიღეს აგრეთვე რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ვაჟა აბაქელიას ინფორმაცია პატიმართა შესახებ. შეეხო რა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ გიორგი ჭანტურიას, გიორგი ხაინდრავასა და სხვათა საკითხს, მან განმარტა, რომ მათ ვერაფრით ვერ ვუწოდებთ პოლიტიკურ პატიმრებს, რადგან ბრალად ედებათ მასობრივი უწყესრიგობის ორგანიზაციაში მონაწილეობა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაული.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ, კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ბოლო დროს ექსტრემისტული ძალების მოქმედების შედეგად ვითარება შიდა ქართლში მკვეთრად გამწვავდა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტმა მიიღო მიმართვა და თხოვნა გაერთიანებული ებრების ორგანიზაციისადმი გამოგზავნოს საქართველოში თავისი წარმომადგენლები ამ რეგიონში შექმნილი ვითარების შესასწავლად.

მიიღეს აგრეთვე მილოცვა უკრაინელი ხალხისადმი სრულიად უკრაინის რეფერენდუმის ჩატარებისა და პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით, მიმართვა და თხოვნა თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტისადმი აღიაროს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

ანბანურ-საგნობრივი საძიებელი

ადამიანის უფლებათა დაცვა — ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებისათვის კონსტიტუციური კანონის ძალის მინიჭებისა და საქართველოს რესპუბლიკაში მათი პირდაპირი მოქმედების შესახებ, № 10, მუხ. 739.

ადგილობრივი მმართველობა — გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ, № 1, მუხ. 13; „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 1, მუხ. 14; გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპის შესახებ, № 2, მუხ. 70; „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, № 2, მუხ. 170; საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების წევრთა რაოდენობის შესახებ, № 4, მუხ. 280; „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, № 4, მუხ. 310; თბილისის რაიონების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების პირველი სესიების მოწვევა, № 5, მუხ. 365; საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების წევრების გაწვევის წესი, № 5, მუხ. 373; „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 5, მუხ. 374; სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისები, № 5, მუხ. 375; „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 5, მუხ. 576; ყოფილი ცხინვალის რაიონის ტერიტორიაზე მმართველობის დროებითი ორგანოების შექმნისა და საკრებულოთა არჩევნების დანიშვნის შესახებ, № 7, მუხ. 501; ჭავჭავაძის რაიონისა და ცხინვალში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ, № 8, მუხ. 570; საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების წევრების სტატუსის შესახებ, № 8, მუხ. 597; „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების წევრების სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 8, მუხ. 598; საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებთან მუშაობის წესის შექმნა, № 8, მუხ. 610; საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში წევრთა რაოდენობის შესახებ, № 12, მუხ. 838; „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და

მუშაობის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის განმარტება, № 12, მუხ. 867.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა — საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და დაბისათვის სახელის გადარქმევა, № 2, მუხ. 178; ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონისათვის სახელის გადარქმევა, № 4, მუხ. 302; აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ განხორციელებული ქ. გაგრისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის სასოფლო საბჭოს სადაბო საბჭოდ გარდაქმნის დამტკიცების შესახებ, № 4, მუხ. 303; თეთრი წყაროს რაიონის შეხვეტილას სასოფლო საბჭოს სოფელ პოლიანასათვის სახელის გადარქმევა, № 4, მუხ. 304; ცხინვალისა და ყორნისის რაიონების გაუქმება, № 4, მუხ. 319; ჯავის რაიონიდან შინაგურის, კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოების გამოყოფა, № 4, მუხ. 320; ონის რაიონის საზღვრების დამტკიცება, № 5, მუხ. 356; ჯავის რაიონის საზღვრების დამტკიცება, № 5, მუხ. 357; საჩხერის რაიონის საზღვრების დამტკიცება, № 5, მუხ. 358; გორის რაიონის საზღვრების დამტკიცება, № 5, მუხ. 359; ქარელის რაიონის საზღვრების დამტკიცება, № 5, მუხ. 360; საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ, № 5, მუხ. 368; თბილისის ლენინის რაიონისათვის სახელის გადარქმევა, № 5, მუხ. 379; საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ, № 5, მუხ. 387; საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესი, № 5, მუხ. 388; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, რაიონების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, თემებისა და სოფლებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა ან პრეზიდენტისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საცნობარო მასალების ნუსხა, № 5, მუხ. 389; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების შესახებ, № 8, მუხ. 560; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 მაისის დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესში“ ცვლილებისა და დამატების შეტანა, № 12, მუხ. 868.

აბტონომიური რესპუბლიკის, ოლქის მიერ იურისდიქციის გადაცემა — ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ო სახ. დებუტატთა საოლქო საბჭოს 1991 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების შესახებ, № 5, მუხ. 344; „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების მო-



ქმედების შეჩერება, № 10, მუხ. 709; აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 26 ნოემბრის დადგენილები შესახებ, № 12, მუხ. 886.

ამნისტია—„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, № 5, მუხ. 369; ამნისტიის შესახებ, № 10, მუხ. 748; „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 30 ოქტომბრის კანონის გამოყენება, № 10, მუხ. 749.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური — „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 6, მუხ. 435; არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ, № 6, მუხ. 436; მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დროებითი დებულების სამოქმედოდ შემოღება, № 6, მუხ. 437; მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დროებითი დებულება, № 6, მუხ. 438.

არბიტრაჟი, არბიტრი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ერთეულთა როდენობის შესახებ, № 4, მუხ. 281; პ. დ. ვალიევის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან გათავისუფლება, № 4, მუხ. 283; საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ, № 4, მუხ. 313; „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 4, მუხ. 314; ე. შ. ბენდელიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევა, № 4, მუხ. 316; ა. გ. გველესიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევა, № 4, მუხ. 325; ტ. ვ. ზამბახიძის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა, № 4, მუხ. 326; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა, № 6, მუხ. 434; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლის წევრების არჩევა, № 8, მუხ. 603; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცება, № 8, მუხ. 604; ჯ. მ. ბეჟანიშვილის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნა, № 10, მუხ. 711; ბ. ი. ვაჟაძის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნა, № 10, მუხ. 712; მ. გ. კვეზერელიძის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნა, № 10, მუხ. 713; გ. ზ. არველიძის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნა, № 10, მუხ. 714; ჯ. ტ. ჯალაღანაძის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნა, № 10, მუხ. 715; ზ. ნ. ჯიმშელიაშვილის ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამარ-

თლოს თავმჯდომარედ დანიშვნა, № 10, მუხ. 716; საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ; № 11, მუხ. 809.

არჩევნები — საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნები, № 1, მუხ. 16; საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნებს შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება და არჩევნების დანიშვნა, № 1, მუხ. 17; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნი.ნი, № 1, მუხ. 36; „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, № 2, მუხ. 172; აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, № 2, მუხ. 173; საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — საკრებულოებში დეპუტატების კანდიდატთა წარდგენის ვადის გაგრძელება, № 2, მუხ. 176; საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების მონაწილე კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირებისათვის საშუალო ხელფასის ანაზღაურების შესახებ; № 2, მუხ. 177; „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, № 2, მუხ. 182; სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნა, № 3, მუხ. 227; საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრკ რეფერენდუმების ჩატარებისა და სსრკ სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნების ჩატარების შესახებ, № 3, მუხ. 231; „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანა, № 4, მუხ. 321; საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 96 მარტვილის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების შესახებ, № 5, მუხ. 364; ყოფილი ცხინვალის რაიონის ტერიტორიაზე მმართველობის დროებითი ორგანოების შექმნისა და საკრებულოთა არჩევნების დანიშვნის შესახებ, № 7, მუხ. 501; „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, № 8, მუხ. 571; საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 56 სიღნაღის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში 1991 წლის 4 აგვისტოს დანიშნული არჩევნების გადატანის შესახებ, № 8, მუხ. 572; 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების, რეფერენდუმისა და 26 მაისს გამართული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის დამტკიცების შე-

სახებ, № 8, მუხ. 605; ჩეჩნეთის რესპუბლიკის და ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებზე მეთვალყურეების მივლინება, № 10, მუხ. 688; „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანა, № 10, მუხ. 737; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 11 თბილისის ვაჟა ფშაველას საარჩევნო ოლქში კენჭისყრის თარიღის გადატანა, № 10, მუხ. 744; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანა, № 10, მუხ. 745; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შექმნა საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანა, № 10, მუხ. 746; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთა დანიშვნა, № 11, მუხ. 782; „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, № 12, მუხ. 882; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში დეპუტატთა არჩევნების მარნეულის № 46 შულავერის საარჩევნო ოლქში არჩევნების გაუქმება, № 12, მუხ. 883.

აპტი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი, № 4, მუხ. 291.

ბანკი, ფულადი სისტემა — 50 და 100 მანეთის ღირებულების ფულის ნიშნების შეცვლის ღონისძიებათა განსახორციელებლად სპეციალური რესპუბლიკური სადებუტატო კომისიის შექმნა, № 1, მუხ. 5; საქართველოს რესპუბლიკაში 1961 წლის ნიშნის 50 და 100 მანეთიანი ასრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გაცვლის მიმდინარეობა, № 1, მუხ. 8; საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, ფულადი სისტემისა და ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე, № 6, მუხ. 448; სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გამო, № 7, მუხ. 498; საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ, № 8, მუხ. 561; საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ, № 8, მუხ. 562; „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შექმნის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე, № 8, მუხ. 564; სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისიის მიმდინარე ანგარიშისა და საინფორმაციო განცხადების შესახებ, № 8,

მუხ. 601; გ. დ. თოფურისა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნა, № 10, მუხ. 719; გ. დ. თოფურისა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნა, № 10, მუხ. 759; საქართველოს სამეურნეო, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საქარმოთათვის ბანკის გადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწრათან დაკავშირებით არასებულ მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველო რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისიის დასკვნა, № 10, მუხ. 761; საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ვაგეობის შემადგენლობის განსაზღვრისა და მის წევრთა დანიშვნის შესახებ, № 11, მუხ. 787; საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკების შექმნის (გარდაქმნის) შესახებ, № 11, მუხ. 794; საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წესდების დამტკიცება, № 11, მუხ. 799.

ბიუჯეტი — საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საგანგებო ღონისძიებათა შესახებ, № 8, მუხ. 581; მიწის ძვრით დაზარალებულ რაიონებში კაპიტალურ დაზანდებათა 1991 წლის საბიუჯეტო ასიგნებების გადიდების შესახებ, № 10, მუხ. 743; თბილისის მეტროპოლიტენისათვის ვაგონების შექმნად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ, № 10, მუხ. 753; საქართველოს სამოქალაქო ავიაციისათვის სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ, № 10, მუხ. 754; საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსათვის საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ, № 10, მუხ. 758; სტიქიისათან დაკავშირებით და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესობიექტების მშენებლობისა და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად 1991 წლის საბიუჯეტო ასიგნებათა გადიდების შესახებ, № 11, მუხ. 830.

ბადასახადი — „სავადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 7, მუხ. 488; „სავადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 7, მუხ. 489.

ბენერალური პროკურორი — ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლება, № 11, მუხ. 807; ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორად დანიშვნა, № 11, მუხ. 808; ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლება, № 11, მუხ. 820; ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორად დანიშვნა, № 11, მუხ. 821; პატივრების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ინფორმაცია, № 12, მუხ. 876.

ბასამება — „დასაქმების შესახებ“, № 7, მუხ. 485; „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღება, № 7, მუხ. 487.

ბაცვის სამსახური — ნ. დ. შარვაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსად დანიშვნა, № 10, მუხ. 692.

დეპარტამენტი — საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი მმართველობის ორგანოების შექმნა და გარდაქმნა, № 2, მუხ. 189; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის შექმნა, № 4, მუხ. 262; საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნა, № 8, მუხ. 543; საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნა, № 8, მუხ. 620; სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის შექმნა, № 9, მუხ. 641; ა. გ. რეხვიაშვილის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნა, № 9, მუხ. 642; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტად გარდაქმნა, № 11, მუხ. 786; საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნა, № 11, მუხ. 802; თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა, № 11, მუხ. 803; საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაცია, № 11, მუხ. 816; საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნა, № 11, მუხ. 827; საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოდეპარტამენტის რეორგანიზაცია, № 12, მუხ. 873; საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ გარდაქმნა, № 12, მუხ. 878.

